განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ეკატერინე ბაკარაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ია მოსაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

ლილი შატბერაშვილი, საერთაშორისო მიგრაციის და განვითარების ცენტრის (CIM) ექსპერტი, თსუ, გერმანია/საქართველო

სალომე ძაგნიძე, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2019

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	218076542
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ჭავჭავაძის ქ.N53, გორი, 1400, საქართველო
ვებ-გვერდი	www.gu.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	N34 (25/11/ 2014)
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	08/12/2020

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[1]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	**41**
ბაკალავრიატი	22
მაგისტრატურა	16
ერთსაფეხურიანი (დაწყებითი საფეხურის მასწავლ. ინტეგრირებული 300 კრედიტიანი)	1
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	1
ქართულ ენაში მომზადების	1
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	40
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[2]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა **3500** (აქედან 418 - პროფესიული)			
	აქტიური	**შეჩერებული**	**პროგრამის დასრულების მაჩვენებელი**
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	**1582**	**776**	**-**
ბაკალავრიატი	1350	600	-
მაგისტრატურა	160	167	-
ერთსაფეხურიანი	5	-	-
დოქტორანტურა	-	-	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	2	1	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	5	-

[1] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[2] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	4	15	-
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	**346**
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**87**
- პროფესორი	43
- ასოცირებული პროფესორი	40
- ასისტენტ პროფესორი	3
- ასისტენტი	1
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	**-**
- მეცნიერი	**-**
- პოსტდოქტორანტი	**-**
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**77**
- აფილირებული პროფესორი	35
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	38
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	3
- აფილირებული ასისტენტი	1
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	1
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	**128**
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	**130**

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	**13490.8**
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	**9375.8**
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	**3075.0**

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში შეამოწმა ავტორიზაციის შვიდივე სტანდარტი. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მონიტორინგი განხორციელდა 2018 წლის გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან დაწესებულებიდან მონიტორინგის ფარგლებში გამოთხოვილი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გადაუნაწილა ჯგუფს შესასწავლი დოკუმენტაცია სტანდარტებისა და კომპეტენციების მიხედვით. პირველადი ანალიზის საფუძველზე, დოკუმენტაცია არ აღმოჩნდა საკმარისი სრულფასოვანი ანალიზის გასაკეთებლად. მოთხოვნის საფუძველზე ცენტრმა ხელახლა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია.

გსსუ-ში მონიტორინგი განხორციელდა ვიზიტის გარეშე მიღებული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- სტრატეგიულ გეგმაში მიეთითოს უსდ-ს სტრატეგიული მიზნების კონკრეტულ დროში გაწერილი გეგმა;
- სამოქმედო გეგმაში მიეთითოს განსახორციელებელი აქტივობების განხორციელებისთვის შესაბამისი რესურსები - პასუხისმგებელი პირი თუ სამსახური;
- უნივერსიტეტის პერსონალს მიეცეს უფრო მეტი შესაძლებლობა, ჩაერთონ საერთაშორისო აკადემიურ ღონისძიებებში.
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინოს გეგმა, თუ როგორ ახორციელებს დაგროვილი ინფორმაციის ანალიზს და პრობლემების იდენტიფიცირების შემთხვევაში, როგორ რეაგირებს მათზე;
- უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა მიერ განხორციელებულ შეფასებებზე რეაგირების მექანიზმი და სტუდენტებისთვის მიწოდებული იყოს ინფორმაცია მიღებული ზომების შესახებ;
- დაწესებულებამ შეიძინოს სპეციალური პროგრამული პაკეტი პლაგიარიზმის იდენტიფიცირებისთვის, რომ უზრუნველყოს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა;
- გამოკვეთილად ჩანდეს შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნები; როგორ იქნა ეს მოთხოვნები ასახული პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების პროცესში;
- სტუდენტთა გამოკითხვა ეხებოდეს პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებს; როგორ იქნა ეს მოთხოვნები ასახული პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების პროცესში;
- კვლევები ჩატარებულ იქნას დარგების მიხედვით და იყოს რაოდენობრივად უფრო მოცულობითი;
- პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იყოს პროფესიულ ასოციაციებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის/კონსულტაციის შედეგები, როგორც საუკეთესო უცხოური და ადგილობრივი გამოცდილება.პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იყოს პროფესიულ ასოციაციებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის/კონსულტაციის შედეგები, როგორც საუკეთესო უცხოური და ადგილობრივი გამოცდილება;
- სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკას;
- სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად გამჭვირვალე საგანთან მიმართებაში;
- აისახოს პროგრამების შეფასების შედეგად განხორციელებული ღონისძიებები;
- სტუდენტთა კითხვარში დაემატოს კითხვები მოქმედი შეფასების სისტემის შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის თაობაზე;
- შემუშავდეს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების და გადამზადების გეგმა, რომლითაც განსაზღვრული იქნება ღონისძიებების პერიოდულობა და პერსონალის მიერ კურსებში მონაწილეობის რეგულარობა. გეგმის შემუშავებაში ჩართული უნდა იყვნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები.
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის დაგეგმისთვის და მისი მონიტორინგისთვის ყოველი ლექტორისთვის შედგენილ იქნეს ერთიანი მატრიცა, რომელშიც შეტანილი იქნება მისი საათობრივი დატვირთვა როგორც მოცემულ უნივერსიტეტში, ასევე სხვა უსდ-ში მის მიერ შემოთავაზებული საგნების მითითებით, რომლის აქტუალიზირება მოხდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში;
- უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმი კარიერულ მხარდაჭერასთან მიმართებით;
- უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმის რეგულარული და ეფექტური განხორციელება;
- სრულყოფილად და ორგანიზებულად იქნას წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები;
- ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო დონის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე და აქტივობებზე;
- შემუშავდეს კვლევითი განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების ხარჯების ბოლო 5 წლის დინამიკა;

- შემუშავდეს დოკუმენტი, სადაც ჩანს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის შემდგომი ღონისძიებები;
- აუდიტორიების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება ინკლუზიური მიდგომების, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების სტანდარტების და ტექნიკური რეგლამენტის გათვალისწინებით;
- დაზუსტდეს სასწავლო და დამხმარე ფართის საერთო ოდენობა;
- საკმარისი რაოდენობის საბიბლიოთეკო რესურსებით და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა;
- საბიბლიოთეკო გარემოს გაუმჯობესება და სამკითხველო დარბაზებში მკითხველთათვის ადგილების რაოდენობის გაზრდა;
- საბიბლიოთეკო ელექტრონულ რესურსებზე წვდომასთან დაკავშირებით ინფორამციის გავრცელება
- ელექტრონული სერვისებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების გაძლიერება სტუდენტებისა და პერსონალისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით
- ვებ-გვერდის ფუნქციონირების გაუმჯობესება
- სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირების გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით დაფინანსების გაზრდა
- აუდიტორიების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების მიზნით გამოყოფილი ფინანსური რესურსების გაზრდა;
- ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება.

რჩევები

- სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდებოდეს მუდმივმოქმედი სტრუქტურული ერთეულის საშუალებით;
- სტუდენტებისთვის დაიგეგმოს მოკლევადიანი პროგრამები, როგორიც არის ზამთრის და ზაფხულის სკოლები, ასევე, მიეცეთ მეტი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში, როგორიცაა მაგალითად, საერთაშორისო იმიტირებული სასამართლო პროცესები;
- უსდ-ს ვებ-გვერდზე განთავსდეს „პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმები“ და „პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესი“;
- საგანამანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმირების ალტერნატიული მექანიზმების შემუშავება და განხორციელება;
- პროგრამები და სილაბუსები წარმოდგენილი იყოს სრულყოფილად; არსებობის შემთხვევაში არ ხდებოდეს მათი მრავალჯერადად გამეორება;
- სილაბუსებში წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია იყოს წარმოდგენილი;
- ეკონომიკურ აგენტებთან დამყარდეს თანამშრომლობის კონტაქტები;
- წარმოდგენილ იქნას საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევების განხორციელების შედეგების ამსახველი ანგარიშები;
- მომზადდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ამსახველი სრულყოფილი დოკუმენტაცია;
- შემუშავდეს დოკუმენტი, სადაც ჩანს უნივერსიტეტის მიერ კვლევების წახალისების ამსახველი ღონისძიებები;
- განხორციელდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ანალიზი და წარმოდგენილ იქნეს შედეგების ამსახველი დოკუმენტი;
- მომზადდეს აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო კვლევების სრულყოფილი ანგარიში;
- შემუშავდეს განხორციელებული სამეცნიერო კვლევების შედეგების გამოყენების ამსახველი სხვა დოკუმენტები;
- არამხოლოდ საუნივერსიტეტო სივრციდან ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებზე (მათ შორის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებთან) დაუბრკოლებლად წვდომის უზრუნველყოფა, არამედ უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის აღნიშნულ რესურსებთან

წვდომის უზრუნველყოფა არასაუნივერსიტეტო სივრციდან სათანადო რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის გავლის შემდეგ;

- გამრავალფეროვნდეს ვებგვერდზე ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი ინფორმაცია;

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☒	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ეკატერინე ბაკარაძე (თავმჯდომარე)
2. ია ნაცვლიშვილი (წევრი)
3. ია მოსაშვილი (წევრი)
4. ლილი შატბერაშვილი (წევრი)
5. სალომე ძაგნიძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული მისიის განაცხადი (მიღებულია 2018 წლის აპრილში), სადაც ნათლად არის წარმოდგენილი უნივერსიტეტის პრიორიტეტები, განსაზღვრულია დაწესებულების ადგილი და როლი უმაღლესი განათლების სისტემაში, რაც გამოიხატება იმაში, რომ უსდ-ს საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს მაღალგანვითარებული, ზნეობრივი და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოების ფორმირებას. მისიაში გამოკვეთილია უნივერსიტეტის საქმიანობის მიმართულებები - უზრუნველყოს ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებთან შესაბამისი ხელმისაწვდომი, მაღალი ხარისხის განათლება, უზრუნველყოს უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების, სამეცნიერო კვლევის, შემოქმედებითი და ადმინისტრაციული საქმიანობის ხელშემწყობი გარემო; ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და პერსონალის პიროვნული პოტენციალის რეალიზებას, მათ ინიციატივებს; დანერგოს უწყვეტი განათლების სისტემა; განავითაროს პარტნიორული ურთიერთობები ადგილობრივ და საერთშორისო დონეზე, ხელი შეუწყოს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია კარგად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება უნივერსიტეტის საქმიანობასა და პრიორიტეტებს, თუმცა, დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე მხოლოდ დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე შეუძლებელია, დადგინდეს, უსდ-ს საზოგადოების მიერ გაზიარებულია თუ არა მისიის განაცხადი; ამ საკითხის გასარკვევად აუცილებელია სხვა ტიპის რევიზია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ოფილიალურ ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია მისიის ტექსტი სრულად და შიდაორგანიზაციული თვალსაზრისით ივარაუდება, რომ სულ ცოტა, მის შექმნასა და პრომულგაციაში მონაწილე პირები იზიარებენ მოცემულ შინაარსს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მისიის განაცხადი, გსსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა, აკადემიური საბჭოს დადგენილება #09-30, 13.04.2018; უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.gu.edu.ge/ge/about/university-mission
რეკომენდაციები:

არცერთი
რჩევები: არცერთი
შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს 2018-2024 წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა, დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ (2018 წლის მაისი). სტრატეგიული განვითარების გეგმაში გათვალისწინებულია დაინტერესებული პირების მონაწილეობის უზრუნველყოფა სტრატეგიის ფორმირებისას უნივერსიტეტის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების, პერსონალისა და სხვა დაინტერესებული პერსონალის ჩართულობით. დოკუმენტში მოცემულია, თუ როგორ განხორციელდა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია და როგორ არის დაინტერესებული პირების მონაწილეობა უზრუნველყოფილი. კერძოდ, სტრატეგიულ დაგეგმვში მონაწილეობდნენ სამუშაო ჯგუფის წევრები, უსდ-ს სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები, უსდ-ს პერსონალი. დაგეგმვა განხორციელდა თანამშრომლობით ფორმატში, რაც გულისხმობდა საუნივერსიტეტო საზოგადოების მოსაზრებების გათვალისწინებას, სათანადო მეთოდოლოგიით დაგეგმილი და განხორციელებული გამოკითხვების, შეხვედრების, სხვადასხვა დროს მოწოდებული ინფორმაციის ანალიზს. სტრატეგიული განვითარების გეგმაში ასახულია უნივერსიტეტის განვითარების გეგმა ექვსი პრიორიტეტული მიმართულებით, დასახულია ამოცანები, რომლებიც, უმეტესწილად, ლოგიკურია და მიღწევადი. მიზნებში მოცემული ცალკეული ამოცანები ფორმულირებულია იმდაგვარად, რომ იქმნება იმის შთაბეჭდილება, რომ მაგალითად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა არ არსებობს. ასევე, ფორმულირებიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ სტრატეგიული მიზნის ამოცანაა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება; მსგავსად, ირკვევა, რომ ერთ-ერთი ამოცანაა სტუდენტური თვითმმართველობის ჩართვა უნივერსიტეტის მართვის სისტემაში (გაურკვეველია, ჩართული იყო თუ არა ეს სტრუქტურა აქამდე უსდ-ს მართვაში). დაწესებულების მიზნები მეტწილად მიღწევადია და შესაბამისია დაწესებულების მისიასთან, თუმცა წარმოდგენილი არ არის მათი კონკრეტულ დროში რეალიზაციის გეგმა. სტრატეგიული გეგმა მოიცავს შესრულების მონიტორინგის ეტაპებს, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული საკითხების კონტროლს წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით. ამ მიზნით უნივერსიტეტში იქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც წელიწადში სულ მცირე ერთხელ, განახორციელებს საქმიანობას. სასურველია, მონიტორინგი ხორციელდებოდეს არა ცალკეული შემთხვევებისთვის შექმნილი ჯგუფის მიერ, არამედ, მუდმივმოქმედი სტრუქტურული ერთეულის საშუალებით. განსახილველად წარმოდგენილია გსსუ-ის 2016-2018 წლების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშები, რომლითაც მოცემულია ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული სამსახურების, ადამიანური რესურსის შესახებ, შემოსავლისა და გასავლის მოკლე ანალიზი. დოკუმენტებიდან ჩანს, თუ რა სახის აქტივობებში განხორციელდა თანხების დახარჯვა და რა არის უნივერსიტეტის პრიორიტეტები.

უნივერსიტეტეტს წარმოდგენილი აქვს სამწლიანი სამოქმედო გეგმა (2018-2021წ.წ.), რომელიც შეიმუშავა სტუდენტების, ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და საზოგადოების წარმომადგენლების თანამონაწილეობით. დოკუმენტი მოიცავს უნივერსიტეტის განვითარებასა და შემდგომ სრულყოფას შემდეგი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით: ინსტიტუციური განვითარება, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, პერსონალი, სტუდენტები და სტუდენტური სერვისები, კვლევა, განვითარება და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა, ფინანსური, მატერიალური და ინფორმაციული რესურსები. გეგმა სტრუქტურირებულია განხორციელების ეტაპების მიხედვით, რომლებიც შეეხება ყველა მასში ჩამოთვლილ სტრატეგიულ მიზანს. მასში მოცემულია მიზნის აღწერილობა და ინფორმაცია შესრულების ინდიკატორებზე. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებში, ძირითადად, წარმოდგენილია უსდ-ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ყველა ასპექტი. სამოქმედო გეგმაში ნათლად არის ჩამოყალიბებული განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები, თუმცა, არ არის მითითებული შესაბამისი რესურსები - პასუხისმგებელი პირი თუ სამსახური. ექსპერტთა აზრით, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ზემოთჩამოთვლილი კომპონენტები ექვემდებარება დახვეწას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უსდ აცნობიერებს მათ მნიშვნელობას და სათანადო ნაბიჯების გადადგმას გეგმავს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gu.edu.ge/uploads/other/8/8300.pdf; - სტრატეგიული განვითარების გეგმა, დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება #09-33, 28.05.2018) - სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა - შესაბამისი სამსახურების წლიური ანგარიშები (2016-2018) - უნივერსიტეტის მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან
რეკომენდაციები: - სტრატეგიულ გეგმაში მიეთითოს უსდ-ს სტრატეგიული მიზნების კონკრეტულ დროში გაწერილი გეგმა; - სამოქმედო გეგმაში მიეთითოს განსახორციელებელი აქტივობების განხორციელებისთვის შესაბამისი რესურსები - პასუხისმგებელი პირი თუ სამსახური.
რჩევები: სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდებოდეს მუდმივმოქმედი სტრუქტურული ერთეულის საშუალებით
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გსსუ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისია და მჭიდრო კავშირშია უნივერსიტეტის მიზნებთან. უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი საქმიანობის განხორციელებას და მისი მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და მოვალეობები სწორადაა განაწილებული. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ მისი ჩამოყალიბებისთვის შემუშავდა SWOT ანალიზი. ამ დოკუმენტით დასტურდება, რომ უნივერსიტეტმა განავითარა და განაახლა საორგანიზაციო სტრუქტურა და მართვის სისტემა.
უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში არჩევის, დანიშვნის წესი და პროცედურები განახლდა 2018 წლის ნოემბერში და დაზუსტდა რექტორისა და დეკანის არჩევის წესი, სადაც ჩანს, რომ უნივერსიტეტის აქტივობები ამ კუთხით შესაბამისია მოქმედ კანონმდებლობასთან.

სტრუქტურული ერთეულების დებულებებში (საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, კანცელარიის, დაცვის სამსახურის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, ფაკულტეტების, ადმინისტრაციის, მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის, ბიბლიოთეკის, ხარისხის მართვის, იურიდიული სამსახურის და სხვ) მკაფიოდაა აღწერილი თითოეული ერთეულის საქმიანობის სფერო, ძირითადი მიზნები და ამოცანები. ვინაიდან დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტი არ განხორციელებულა და წარმოდგენილი დასკვნა ეყრდნობა მხოლოდ დოკუმენტაციის ანალიზს, უნივერსიტეტის საბაზისო დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაციით შეიძლება ითქვას, რომ სტრუქტურული ერთეულებს შესწევთ უნარი, თავიანთი ფუნქციები ეფექტიანად და კოორდინირებულად განახორციელონ, თუმცა მხოლოდ დოკუმენტაციის შესწავლა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ გაკეთდეს ანალიზი, აღნიშნული ფუნქციების პრაქტიკაში ეფექტიანად რეალიზაციის თაობაზე.

დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, უნივერსიტეტის მისიის განხორციელების მიზნით საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევს ინტერნაციონალიზაციას. უნივერსიტეტი ძლიერ მხარედ თვლის უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობისა და გაცვლით პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილებას, რის თაობაზეც წარმოდგენილია შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. დოკუმენტაციას ასევე ახლავს ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების მომცველი ანგარიშის ანალიზი. დოკუმენტი ითვალისწინებს იმ ტენდენციების გამოვლენას, რომელიც უნივერსიტეტში არსებობს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიით გათვალისწინებულ საერთაშორისო აქტივობებში ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ჩართულობის კუთხით. ამ მიმართულებით უნივერსიტეტში ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობით შემუშავდა კითხვარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15 სტუდენტმა. შედეგების ანალიზმა გამოავლინა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა კმაყოფილია უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით, მაგრამ ასევე გამოითქვა მოსაზრებები ინფორმაციის გავრცელების და ხელმისაწვდომობის გაზრდის თაობაზე, რაზეც უნივერსიტეტის შესაბამისი ორგანოები მოახდენენ რეაგირებას. დაწესებულების მიერ დაისახა სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს უფრო მეტი მობილობის პროგრამების შეთავაზებას ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის; აკადემიური პერსონალის უფრო მეტი ჩართულობის უზრუნველყოფას საერთაშორისო აკადემიურ ღონისძიებებში და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. თუმცა ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით გატარებული ღონისძიებანი არსად არ არის ასახული.

მსგავსად, კვლევა არის ჩატარებული უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიით გათვალისწინებულ საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის ხარისხის დადგენის მიზნით, ასევე არსებული ტენდენციების გამოვლენა, რომელიც ხელს შეუწყობს არსებული პოლიტიკის გაუმჯობესებას. კვლევაში ბოლო 5 წლის მონაცემები იყო გაანალიზებული და მონაწილეობა მიიღო 53 სტუდენტმა. ამ შემთხვევაშიც, დასკვნა იყო დამაკმაყოფილებელი და გამოითქვა განმავითარებელი რეკომენდაციები შემდეგი საკითხების მიმართ: მეტი მობილობის პროგრამები სტუდენტებისთვის; სტუდენტების მეტი ჩართულობას

საერთაშორისო აკადემიური ღონისძიებებში; ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა; მეტი საერთაშიროსო მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამები.

ცხადია, ინტერნაციონალიზაციის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა იმის მიმანიშნებელია, რომ უნივერსიტეტი ცდილობს იყოს სრულ შესაბამისობაში ზოგადსაუნივერსიტეტო მისიასთან და მიზნებთან, რაც ექსპერტების აზრით, მისასალმებელია.

უნივერსიტეტის იურიდიული ცნობარი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის, სტუდენტებისთვის და წარმოდგენილია ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

სტრუქტურული ერთეულების დებულებები (საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, კანცელარიის, დაცვის სამსახურის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, ფაკულტეტების, ადმინისტრაციის, მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის, ბიბლიოთეკის, ხარისხის მართვის, იურიდიული სამსახურის)

გსსუ-ს საქმისწარმოების ერთიანი წესი (გადაწყვეტილება 09-75, დამტკიცებული 10.11.2009)

შესაბამისი სამსახურების წლიური ანგარიშები (2016-2018)

უნივერსიტეტის მემორანდუმები საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო პროექტები

სტუდენტებისა და პერსონალის კითხვარები ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით

გსსუ-ს ვებ-გვერდი: http://gu.edu.ge/ge/international-relations1/strategia

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის პერსონალს მიეცეს უფრო მეტი შესაძლებლობა, ჩაერთონ საერთაშორისო აკადემიურ ღონისძიებებში.

რჩევები:

სტუდენტებისთვის დაიგეგმოს მოკლევადიანი პროგრამები, როგორიც არის ზამთრის და ზაფხულის სკოლები, ასევე, მიეცეთ მეტი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში, როგორიცაა მაგალითად, საერთაშორისო იმიტირებული სასამართლო პროცესები

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრულ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული დებულებების, წესების, პროცედურებისა და მექანიზმების ერთობლიობას. ვინაიდან შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები შემუშავებულია მისი აქტივობებისა და რესურსების შეფასებისა და განვითარებისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის კომპონენტების საშუალებით, ეს სამსახური

ახორციელებს უნივერსიტეტის სხვა სტრუქრურულ ერთეულებთან თანამშრომლობას და მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასებას, პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებას. ის შეიმუშავებს რეკომენდაციებს განვითარების მიზნით და წარუდგენს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს სათანადო რეაგირებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულებას იღებს ხარისხის განვითარების მექანიზმების ეფექტიანობასა და მათ განვითარებაზე, PDCA ციკლის შესაბამისად. უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია, რომელიც განახლებული დოკუმენტებია და დეტალურად და ზედმიწევნით აღწერს შესაბამის პროცესებს.

უნივერსიტეტში არსებობს შეფასების ინტერნეტ პლატფორმა, რომლის მეშვეობით სტუდენტები ავსებენ შესაბამის კითხვარებს. ცხადია, უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური აგროვებს მონაცემებს, თუმცა დოკუმენტალურად არ ჩანს, როგორ ხდება დაგროვილი ინფორმაციის ანალიზი და პრობლემების იდენტიფიცირების შემთხვევაში, მათზე რეაგირება.

წარმოდგენილია უნივერსიტეტის ცალკეული ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსების მიერ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისადმი ჩაბარებული ანგარიშები ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის 2015-2017 კალენდარული წლის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების შესახებ. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა შეაფასეს აკადემიური პერსონალის საქმიანობა სათანადო თვითშეფასების კითხვარების შემოწმების შედეგად. დოკუმენტებს თან ახლავს ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ჩამონათვალი, აკადემიური სტატუსის მითითებით და შეფასების შედეგი (მაგ: პროფესორი - დამაკმაყოფილებელი). აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დანერგილია შეფასების მექანიზმები და სისტემა, თუმცა, აკადემიური პერსონალის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დასახვეწია. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზის მეთოდოლოგია.

სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც აყალიბებს სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, გათვალისწინებულია უსდ-ს მიერ დადგენილი ინდიკატორები და სამიზნე ნიშნულები, დოკუმენტი შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

აკადემიური საბჭოს დადგენილება (#09-88, 19.06.2014) სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისა და საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ;

გორის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსაურის შეფასების შედეგები;

გსსუ-ს უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://gu.edu.ge/uploads/other/8/8471.pdf;

- აკადემიური საბჭოს 23.03.2018 დადგენილება N 06-22 პროფესორების სამეცნიერო აქტივობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ
- წარმომადგენლობითი საბჭოს 29.07.2015 გადაწყვეტილება N 09-36 უნივერსიტეტი შინაგანაწესის შესახებ

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინოს გეგმა, თუ როგორ ახორციელებს ინფორმაციის ანალიზს და პრობლემების იდენტიფიცირების შემთხვევაში, როგორ რეაგირებს მათზე;
- უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტთა მიერ განხორციელებულ შეფასებებზე რეაგირების მექანიზმი და სტუდენტებისთვის მიწოდებული იყოს ინფორმაცია მიღებული ზომების შესახებ;

რჩევები:

არცერთი

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტში მოქმედებს ეთიკის კოდექსი და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმები, რომლის თანახმად, უნივერსიტეტში არსებული ერთიანი აკადემიური, პროფესიული განათლებისა და კვლევის სივრცე ემყარება სამ ძირითად პრინციპს: აკადემიურ თავისუფლებას, სინდისის თავისუფლებას, არჩევანის თავისუფლებას. ეთიკური და ქცევის წესების დარღვევაზე რეაგირებისთვის შემუშავებულია შესაბამისი პროცედურები, რითაც ხდება უნივერსიტეტის აკადემიურ სივრცეში წამოჭრილ პრობლემებზე რეაგირება.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესი, რომლებიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ. დოკუმენტში აღწერილია დაწესებულებაში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის პრევენციის, ასევე დარღვევის შემთხვევაში მისი აღმოჩენის მექანიზმებსა და მასზე რეაგირების ნორმები. დოკუმენტიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტი იცავს ინტელექტუალური საკუთრების პრინციპებს და მიზნად ისახავს სხვისი შრომის შედეგის ნებისმიერი ფორმით მითვისების აღკვეთას. წესი კრძალავს პლაგიატს, თვითპლაგიატს, ფალსიფიკაციას; დეტალურად არის გაწერილი, თუ როგორი მექანიზმები მოქმედებს უნივერსიტეტში პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, როგორია სანქცია კონკრეტული ფაქტის გამოვლენის შემდეგ, როგორია გასაჩივრების მექანიზმები.

უნივერსიტეტი პლაგიატის შესახებ ინფორმაციის გავრცელების საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს საგანმანათლებლო პროგრამებში სავალდებულო სასწავლო კურსებში აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხების სწავლებას. ამავდროულად, უნივერსიტეტი პერსონალის ინფორმირებას პლაგიატთან დაკავშირებით უზრუნველყოფს წესის ვებ-გვერდზე განთავსებით და პერსონალთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში წესის გაცნობით. დამატებით, უნივერსიტეტი ამ მიმართულებით აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს და აწარმოებს ინფორმაციულ კამპანიას.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ამ ეტაპზე „პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესი“ არ არის განთავსებული.

უნივერსიტეტს არ აქვს წარმოდგენილი რაიმე ხელშეკრულება ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ შეძენილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და აღკვეთის რაიმე ელექტრონული პაკეტი, რაც ნამდვილად გაამყარებდა უნივერსიტეტის პოლიტიკას პლაგიარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის ინსტიტუციური განვითარების ნაწილში მითითებულია, რომ იზრუნებს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვაზე, პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების წესის დახვეწის გზით. ეს ღონისძიება გაწერილია დროში და დაგეგმილია 2018-2019 სასწავლო წლის პერიოდში, რაც მეტყველებს იმაზე, რომ უსდ-ს გაცნობიერებული აქვს ამ კომპონენტის მნიშვნელობა.

უსდ-ს ეთიკის კოდექსში არსებობს ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს. აღნიშნულის არსებობა შესაძლებელია ვივარაუდოთ მისიის განაცხადშიც, სადაც ზოგადი ჩანაწერის სახით წარმოდგენილია, რომ უსდ ხელს უწყობს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მასწავლებლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების პიროვნული პოტენციალის რეალიზებასა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას.

თუმცა, არ არსებობს მითითება იმაზე, რა კონკრეტულ ღონისძიებას იყენებს დაწესებულება აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმები (აკად. საბჭოს დადგენილება #09-20, 07.11.2013) სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმები (აკად. საბჭოს დადგენილება #09-55, 21.11.2018)
რეკომენდაციები: - დაწესებულებამ შეიძინოს სპეციალური პროგრამული პაკეტი პლაგიარიზმის იდენტიფიცირებისთვის იმისათვის, რომ უზრუნველყოს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა;
რჩევები: - უსდ-ს ვებ-გვერდზე განთავსდეს „პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმები“ და „პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესი“
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. **საგანმანათლებლო პროგრამები**

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: გსსუ-ს აქვს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია, სადაც წარმოდგენილია მეთოდოლოგია და შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები. ასევე, დებულება საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ, სტუდენტის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი. გსსუ-ს აქვს წარმოდგენილი დამსაქმებლის კითხვარი და დამსაქმებლების გამოკითხვის ანალიზის დოკუმენტი, რომელიც არის ზოგადი და კონკრეტული დარგების დამსაქმებლების მიმართ ზუსტ წარმოდგენებს ვერ იძლევა. არ იკვეთება შრომის ბაზრის კონკრეტული მოთხოვნები. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის მიხედვით კვლევა ეხებოდა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჩართულობას, როგორც პროგრამასთან დაკავშირებით, ასევე მისგან დამოუკიდებელ საქმიანობაში. გამოკითხვის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა 78%-ს მოსწონს კურიკულუმი, თუმც აღნიშნული გამოკითხვით ვერ იკვეთება, არიან თუ არა ისინი ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ სასურველია მეტი სამუშაოების ჩატარება კვალიფიციური კადრების მოზიდვის, ინტერნაციონალიზაციის გაღრმავების, პრაქტიკული მეცადინეობების გაზრდის მიმართულებით. რაც შეეხება დასაქმების მაჩვენებელს, 183 კურსდამთავრებულის კვლევის ანალიზია წარმოდგენილი და მათგან 115 დასაქმებულია. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის აპრილსა და ნომებერში ჩატარდა კურდამთავრებულთა გამოკითხვა კარიერულ და

აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით; მათი უმრავლესობა კმაყოფილია უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნით და გამომუშავებული უნარ-ჩვევებით.

გსსუ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი. წარმოდგენილია სტუდენთა აკადემიურო მოსწრების მონიტორინგის შედეგები.

წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შედეგები, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

გსსუ-ს აქვს მემორანდუმები სხვადასხვა ასოციაციებთან და ორგანიზაციებთან, ასევე აქვს საერთაშორისო დონის მემორანდუმები/ხელშეკრულებები, თუმცა პროგრამების შემუშავების პროცესში არ ჩანს მათთან კონტაქტების შედეგად მიღებული უკუკავშირები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია;
- სტუდენტის ინდივიდუალური საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი;
- საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დამტკიცების დებულება;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლების კითხვარები და მათი ანალიზის შედეგები.

რეკომენდაციები:

- გამოკვეთილად ჩანდეს შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნები; როგორ იქნა ეს მოთხოვნები ასახული პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების პროცესში;
- სტუდენტთა გამოკითხვა ეხებოდეს პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებს; როგორ იქნა ეს მოთხოვნები ასახული პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების პროცესში;
- კვლევები ჩატარებულ იქნას დარგების მიხედვით და იყოს რაოდენობრივად უფრო მოცულობითი;
- პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იყოს პროფესიულ ასოციაციებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის/კონსულტაციის შედეგები, როგორც საუკეთესო უცხოური და ადგილობრივი გამოცდილება.

რჩევები:

არცერთი

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გსსუ ახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციის თანახმად, გსსუ ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებით.

პროგრამების კატალოგი ატვირთულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველასათვის. წარმოდგენილია არსებული პროგრამები და სილაბუსები. არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ისტორიის მაგისტრატურის პროგრამის, ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრატურის, ქართული ლიტერატურის მაგისტრატურის სილაბუსები. პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი სწავლის შედეგების გონივრულ ვადაში მიღწევის საშუალებას იძლევა. წარმოდგენილი პროგრამები იძლევა არასავალდებულო კომპონენტების არჩევის შესაძლებლობას. სილაბუსებში მითითებული განმახორციელებელი პერსონალის შესახებ სრულყოფილი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი.

გსსუ-ს წარმოდგენილი აქვს 2018-2019 წლის აკადემიური კალენდარი, როგორც საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის, ასევე მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისათვის და რიგგარეშე მობილობით ჩარიცხული სტუდენტებისათვის.

გსსუ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დამთავრების მაჩვენებელი ცხრილები, სადაც თვალნათლივ ჩანს ჩარიცხულ და დამთავრებულ სტუდენტთა რაოდენობები და %-ული მაჩვენებლები.

უნივერსიტეტს აქვს აკრედიტებული პროგრამები (რუსული ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, სასტუმროს მენეჯმენტი - ბაკალავრიატი; სასტუმროს მენეჯმენტი, საჯარო მმართველობა - მაგისტრატურა), რომლებზეც არ მიუღიათ სტუდენტები და შესაბამისად სწავლა არ მიმდინარეობს.

გსსუ-ს აქვს შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და დამტკიცების წესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია;
- გსსუ-ს ვებ-გვერდი; საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ვებ-გვერდზე;
- სტუდენტის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესი;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები.

რეკომენდაციები:

არცერთი

რჩევები:

- საგანამანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმირების ალტერნატიული მექანიზმების შემუშავება და განხორციელება;
- პროგრამები და სილაბუსები წარმოდგენილი იყოს სრულყოფილად; არსებობის შემთხვევაში არ ხდებოდეს მათი მრავალჯერადად გამეორება;
- სილაბუსებში წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია იყოს წარმოდგენილი.

შეფასება:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გსსუ-ს სილაბუსებში გაწერილია შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხთა შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ბევრ შემთხვევაში იდენტურია სხვადასხვა პროგრამის საგნებისათვის, მაგალითად, განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ბიოლოგიის პროგრამის სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდის ღია საკითხების შეფასების კრიტერიუმები ერთნაირია, რომელიც იგივეა სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროგრამების სილაბუსებისთვის, ისევე როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამების სილაბუსებისათვის. ასევე, ზოგადად არის წარმოდგენილი პრეზენტაციის, რეფერატის, საკითხთა შეფასების კრიტერიუმები. წარმოდგენილი პროგრამები ითვალისწინებს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ, რაც დეტალურადაა აღწერილი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემით. წარმოდგენილ დოკუმენტებში სტუდენტის შეფასების გასაჩივრების მექანიზმი წარმოდგენილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, ასევე, უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს გასაჩივრების ოქმების ნაწილი. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, კერძოდ, შუალედური და დასკვნითი გამოცდის ღია საკითხების შეფასების კრიტერიუმები არ ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, თუმც შერჩეულია შეფასების ადექვატური მეთოდები. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, გსსუ-ს აქვს შემუშავებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი. ასევე, შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. თითოეული პროგრამისათვის გაკეთებულია შეფასება და გაწეულია რეკომენდაციები, თუმც ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით გატარებული ღონისძიებანი არსად არაა ასახული. სტუდენთა გამოკითხვის კითხვარში არ ჩანს მათი ინფორმირებულობა უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

-საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
-პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
-სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი;
-საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა;

რეკომენდაციები:

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკას;
- სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად გამჭვირვალე საგანთან მიმართებაში;
- აისახოს პროგრამების შეფასების შედეგად განხორციელებული ღონისძიებები;
- სტუდენტთა კითხვარში დაემატოს კითხვები მოქმედი შეფასების სისტემის შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის თაობაზე.

რჩევები:

არცერთი

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. **უსდ-ის პერსონალი**

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალის მართვის პოლიტიკა და მიზნები განსაზღვრულია როგორც უნივერსიტეტის მისიით, ასევე აკადემიური საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის დადგენილებით პერსონალის პოლიტიკის მართვის პოლიტიკის შესახებ, პერსონალის განვითარება წარმოადგენს მე-3 სტრატეგიულ მიზანს უნივერსიტეტის სამწლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მიხედვითაც. პერსონალის მართვას აწარმოებს უნივერსიტეტის კანცელარია. პერსონალის მართვის პროცედურები გაწერილია უნივერსიტეტის კანცელარიის დებულებაში და უნივერსიტეტის შინაგანწესში. მოცემული რეგულაციები შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და ზოგადად უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის უზრუნველსაყოფად საჭირო პირობების და შესაბამისი გარემოს შექმნას. აკადემიური პერსონალის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით სრული შემადგენლობის 78% წარმოადგენს 65 წელს არ მიღწეულ პირებს, ხოლო აკადემიური პერსონალის 52%-ს ქალები წარმოადგენენ. აკადემიური პერსონალის დასაქმება ხორციელდება კონკურსის საფუძველზე აკადემიური საბჭოს 23.03.2018 წლის N 09-16 დადგენილების შესაბამისად, რომელიშიც დეტალურად არის გაწერილი კონკურსის ჩატარების წესი და პირობები. ასევე მოწესრიგებულია მოწვეულ სპეციალისტთა შერჩევის და ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი (წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N 09-21, 30.07.2018). აკადემიური საბჭოს 23.03.2018 წლის N 09-14 დადგენილებით დამტკიცებულია აკადემიური პერსონალის აფილირების წესი. უნივერსიტეტში შემუშავებულია პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები სტრუქტურული ერთეულების მიხედვით. წარმოდგენილი შრომითი ხელშკრულებები შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს და საყოველთაო სტანდარტებს. - აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურობის და შესაბამისად მათი კვალიფიკაციის შეფასების მიზნით უსდ-ის მიერ შემუშავებულია მთელი რიგი რეგულაციები: აკადემიური საბჭოს N 09-22 დადგენილებით დადგენილია უნივერსიტეტის პროფესორების და ასოცირებული პროფესორების მიერ სამეცნიერო აქტივობების სახით გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებები, რომლებშიც იგულისხმება სტატიების გამოქვეყნება რეიტინგულ ჟურნალებში, კონფერენციებში მონაწილეობა და ა.შ.; აკადემიური საბჭოს N 09-28 დადგენილებით განსაზღვრულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასების წესი, რომელიც მოიცავს თვითშეფასების ანგარიშს, მეცადინეობის შეფასებას დამკვირვებლის და კოლეგების მიერ, აქვე გაწერილია შეფასების კრიტერიუმები. უსდ-ს მიერ დაწესებულია პროფესორთა ატესტაციის ჩატარება 5 წელიწადში ერთხელ (აკადემიური საბჭოს 23.03.2018 წლის N 09-15 დადგენილება), რომელსაც წინ უძღვის მათ მიერ გაწეული საქმიანობის ყოველწლიური შეფასება. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა სასწავლო კურსთან ფასდება ასევე სტუდენტების მიერ ანონიმურად შევსებულ პროგრამის და კურსის შეფასების კუთხვარში. ასევე დადგენილია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი (აკ. საბჭოს დადგენილება N 09-56) და შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები და შეფასების კრიტერიუმები. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია ასევე პერსონალის კმაყოფილების კვლევა: შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები და ანალიზის კრიტერიუმები. - უნივერსიტეტის კანცელარიის დებულებით განსაზღვრულია „უნივერსიტეტის პერსონალის მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის მომზადება“, ასევე „... კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობებზე ინფორმაციის გავრცელება“; პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტის მიხედვით (აკადემიური საბჭოს დადგენილება N 6-06-ის დანართი) „ ... უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე...“, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვერ მოიძებება რაიმე დოკუმენტი, რომელიც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის არსებობას დაადასტურებდა. არც სამწლიან სამოქმედო გეგმაში, რომელშიც პერსონალის განვითარება მე-3 სტრატეგიულ მიზნად არის წარმოდგენილი, არ არის

ჩადებული პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული რაიმე ღონისძიება ან გრძელვადიანი გეგმა. აკადემიური პერსონალის თვითშეფასების წარმოდგენილი შევსებული კითხვარის მიხედვით რესპონდენტი უთითებს კვალიფიკაციის ამაღლების ერთ-ერთ ღონისძიებებაში მონაწილეობის თაობაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მსგავსი ღონისძიებები ტარდება, თუმცა სპორადულად და არა რაიმე გეგმის ან სისტემის საფუძველზე. აკადემიური პერსონალის უნარების გაუმჯობესება განსაზღვრულია ასევე უნივერსიტეტის მიერ უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებთან დადებული მემორანდუმებით, თუმცა ესეც ვერ იქნება ჩათვლილი რაიმე სისტემური სტრატეგიის ნაწილად.

ამის დასტურია ასევე უსდ-ს მიერ წარმოდგენილი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგები და მათი ანალიზი, რომლის მიხედვით სასურველ ცვლილებად, რომელიც ხელს შეუწყობს სამუშაო გარემოს გაუმჯობესებას და მოტივაციის ამაღლებას“ პირველ ადგილზე ორივე კითხვარში სახელდება: „პერსონალის მომზადება/გადამზადება პროფესიული განვითარების მიზნით“, თუმცა შედეგების ანალიზში და შესაბამისად დასახულ გაუმჯობესების ღონისძიებებში საერთოდ არ არის ნახსენები დასახელებული პრობლემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამოქმედო სამწლიანი გეგმა
- წარმომადგენლობითი საბჭოს 30.01.2019 გადაწყვეტილება N 7-04 სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის ანგარიშის დამტკიცების შესახებ
- წარმომადგენლობითი საბჭოს 22.06.2017 გადაწყვეტილება N 06-14 კანცელარიის დებულების დამტკიცების შესახებ
- აკადემიური საბჭოს 30.01.2019 დადგენილება N 06-06 პერსონალის მართვის პოლიტიკის შესახებ
- წარმომადგენლობითი საბჭოს 29.07.2015 გადაწუვეტილება N 09-36 უნივერსიტეტი შინაგანაწესის შესახებ
- აკადემიური საბჭოს 23.03.2018 დადგენილება N 06-16 აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის განსაზღვრის შესახებ
- აკადემიური საბჭოს 23.03.2018 დადგენილება N 06-22 პროფესორების სამეცნიერო აქტივობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ
- აკადემიური საბჭოს 23.03.2018 დადგენილება N 06-14 აკადემიური პერსონალის აფილირების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ
- აკადემიური საბჭოს 13.07.2018 დადგენილება N 09-28 სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შეფასების წესის შესახებ
- აკადემიური საბჭოს 23.03.2018 დადგენილება N 09-15 პროფესორის ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ
- აკადემიური საბჭოს 21.11.2018 დადგენილება N 09-56 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის შესახებ
- აკადემიური საბჭოს 30.07.2018 დადგენილება N 09-21 სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის, შრომის ანაზღაურების ოდენობის და პირობების დამტკიცების შესახებ
- აკადემიური საბჭოს 19.06.2014 დადგენილება N 09-88 საგანმანათლებო პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციული პერსონალის კითხვარები, აკადემიური პერსონალის თვითშეფასებები, მეცადინეობის შეფასებები
- აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები
- აკადემიური პერსონალის ავტობიოგრაფიები

რეკომენდაციები:

- შემუშავდეს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების და გადამზადების გეგმა, რომლითაც განსაზღვრული იქნება ღონისძიებების პერიოდულობა და პერსონალის მიერ კურსებში მონაწილეობის რეგულარობა. გეგმის შემუშავებაში ჩართული უნდა იყვნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები.

რჩევები:

არცერთი

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა ხდება მეთოდოლოგიით, რომელიც დადგენილია აკადემიური საბჭოს N 09-18 დადგენილებით, რომლის მიხედვით აკადემიური პერსონალის წლიური დატვირთვა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 600 სთ-ს, ამას გარდა სავალდებულო სასწავლო კურსების ლექტორების 50% აფილირებული აკადემიური პერსონალი უნდა წარმოადგენდეს, და აკადემიური პერსონალის შეფარდება სტუდენტთა რაოდენობასთან არ უნდა იყოს 1/40-ზე ნაკლები. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით 2018 წლის მდგომარეობით აკადემიური პერსონალის რაოდენობა წარმოადგენს 87 და მოწვეული პერსონალის რაოდენობა - 128-ს. წარმომადგენლობითი საბჭოს 30.06.2014 წლის N 09-112 გადაწყვეტილებით დადგენილია აკადემიური პერსონალის და მასწავლებელთა პედაგოგიური დატვირთვის წესი, რომლის მიხედვით განსაზღვრულია საათობრივი დატვირთვის განაწილება როგორ სასწავლო ასევე სამეცნიერო საქმიანობის შესაბამისად. უსდ-ის მიერ წარმოდგენილია ცალკეული პროფესორების და სხვა აკადემიური პერსონალის სასწავლო წლის დატვირთვის სქემები გორის უნივერსიტეტში საქმიანობის ფარგლებში. თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვერ მოიძებნა აკადემიური პერსონალის სრული საათობრივი დატვირთვის მატრიცა, რომელშიც დაფიქსირებული იქნებოდა მისი სრული დატვირთვა საგნების მითითებით - როგორც მოცემულ უნივერსიტეტში, ასევე ყველა სხვა უსდ-ში რომელთანაც ის თანამშრომლობს. აქ იგულისხმება წლიური დატვირთვის სქემა, რომელიც ცალკეული აკადემიური პერსონალისთვის იქნებოდა შედგენილი და განსხვავებით უსდ-ის მოწოდებული დოკუმენტებისა, მოიცავდა: საგნებს, რომელსაც ის ასწავლის გორის უნივერსიტეტში და შესაბამის საათობრივ დატვირთვას, ასევე საგნებს, რომლებსაც ის ასწავლის სხვა უნივერსიტეტებში და შესაბამის საათობრივ დატვირთვას, ასევე პრაქტიკის და სამეცნიერო კომპონენტებს და შესაბამის დატვირთვას, ისე, რომ სახეზე იყოს ნათელი სურათი ცალკეული პედაგოგის წლიურ სრულ დატვირთვასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემების შესაბამისად ამჟამად აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჯამური რაოდენობა სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში 0,14, პროგრამების რაოდენობასთან მიმართებაში კი 5,7; 87 აკადემიურ პერსონალზე მოდის 77 აფილირებული აკადემიური პერსონალი, რაც პროცენტულად 88% წარმოადგენს და ამით თავად უსდ-ის მიერ დადგენილი აუცილებელ ზღვარს - 50%-ს - აჭარბებს კიდევაც, თუმცა აკადემიური პერსონალის ჯამურ რაოდენობასთან შეფარდებაში (მოწვეული პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით) 35%-ს წარმოადგენს. აფილირებული აკადემიური პერსონალის შეფარდება სტუდენტთა რაოდენობასთან წარმოადგენს 0,05. მონაცემები ზოგადად შეესაბამება არსებულ სტანდარტებს და იძლევა დაწესებულების მიერ დასახული მიზნების პოტენციურ საშუალებას. ერთადერთი მონაცემი, რომელიც კრიტიკულ ზღვარზეა, არის აკადემიური პერსონალის რაოდენობის შეფარდება აკადემიური პროგრამების რაოდენობასთან, რაც ნიშნავს არსებული პერსონალის მაღალ დატვირთვას სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში. სწორედ ამ მდგომარეობის გაკონტროლების საშუალება იქნება ზემოდ აღწერილი ცხრილის შემუშავება, რომლის დახმარებით მოხდება აკადემიური პერსონალის დატვირთვის ანალიზი და კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში მისი რაოდენობის გაზრდის განსაზღვრა.

უსდ-ის სამოქმედო გეგმის მე-3 სტრატეგიული მიზნის მიხედვით დასახულია „კვალიფიციური, მათ შორის ახალგაზრდა პერსონალის მოზიდვის გეგმის შემუშავება, დანერგვა და განვითარება“, ასევე „აფილირების წესის დახვეწა“, რის ინდიკატორად აკადემიური პერსონალის კვლევის ანალიზია დასახელებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური საბჭოს 23.03.2018 დადგენილება N 09-18 საგანმანათლებო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე

- წარმომადგენლობითი საბჭოს 30.01.2019 გადაწყვეტილება N 7-04 სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის ანგარიშის დამტკიცების შესახებ
- წარმომადგენლობითი საბჭოს 30.06.2014 წლის N 09-112 გადაწყვეტილება მოწვეულ სპეციალისტთა სამსახურში მიღების ერთიანი წესის, შრომითი ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ
- აკადემიური პერსონალის სასწავლო წლის აკადემიური დატვირთვის ნიმუშები
- შრომითი ხელშეკრულებები

რეკომენდაციები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის დაგეგმისთვის და მისი მონიტორინგისთვის ყოველი ლექტორისთვის შედგენილ იქნეს ერთიანი მატრიცა, რომელშიც შეტანილი იქნება მისი საათობრივი დატვირთვა როგორც მოცემულ უნივერსიტეტში, ასევე სხვა უსდ-ში მის მიერ შემოთავაზებული საგნების მითითებით, რომლის აქტუალიზირება მოხდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.

რჩევები:

არცერთი

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გორის სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც აღწერს სტუდენტის სტატუსის მოპოვების პირობებს, გარე და შიდა მობილობის პროცედურებს, სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის საფუძვლებს, სტუდენტის სტატუსის აღდგენის პირობებს, სწავლის გადასახადის ვადებს, სტუდენტის უფლება-მოვალეობებს, კვალიფიკაციის მინიჭების წესებს, მიღებული შეფასების გასაჩივრების უფლებებს. ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. (https://gu.edu.ge/ge/iuridiuli-nobari/saswavlo-procesis-maregulirebeli-wesi).

გორის სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულებების ნიმუშები, რომელიც აღწერს მხარეებს შორის არსებულ უფლება-მოვალეობებს, სწავლის გადასახადის ოდენობასა და ვადებს. გასაუბრების ან/და კმაყოფილების კვლევაში შესაბამისი ინფორმაციის არ არსებობის პირობებში, რთულია დადგინდეს, რამდენად უზრუნველყოფს უნივერსიტეტი აღნიშნული პროცედურების ეფექტურ და დროულ წარმართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი- https://gu.edu.ge/ge/ http://gu.edu.ge/uploads/other/9/9274.pdf; https://gu.edu.ge/ge/iuridiuli-nobari/saswavlo-procesis-maregulirebeli-wesi
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეკრულება ბაკალავრიატის სტუდენტთან
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეკრულება მაგისტრატურის სტუდენტთან
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება (09-50)

რეკომენდაციები:

არცერთი

რჩევები:

არცერთი

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების სილაბუსები ითვალისწინებს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობას, სადაც საკონსულტაციო საათები და საკონტაქტო ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. რთულია სტუდენტებთან გასაუბრების ან/და კმაყოფილების კვლევაში ამასთან დაკავშირებული ინფორმაციის არ არსებობის პირობებში დადგინდეს საკონსულტაციო მომსახურების ეფექტურობა.

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით მოხდა სტუდენტთა სტატისტიკა-რეგისტრაციის სამსახურის რეორგანიზაცია, რომლის შედეგადაც შეიქმნა სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახური. სამსახურის ფუნქციები მოიცავს სტუდენტების დახმარებას პროფესიულ ორიენტაციაში, კარიერის სწორად წარმართვაში, დამსაქმებელთან ურთიერთობაში, დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, მათი სასწავლო პროგრამების განვითარებაში ჩართვა და ა.შ.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურის მიერ 2018 წელს განხორციელებული აქტივობების მიმოხილვა. ანგარიშის მიხედვით უნივერსიტეტში მოეწყო სტუდენტთა და

დამსაქმებელთა შეხვედრა, ერთ-ერთი ბანკის დასაქმების ფორუმი, ერთ-ერთი კომპანიის საქმიანი შეხვედრა სტუდენტებთან ა.შ.

მოცემული დოკუმენტის მიხედვით სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახური ატარებს შრომის ბაზრის კვლევებს რეგიონში და მოპოვებულ ინფორმაციას იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განახლებაში. ამის მაგალითია რეგიონის სკოლებში ჩატარებული გამოკითხვა, რომელიც გამოყენებული იქნა მასწავლებელთა გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ვერ დგინდება რა ფორმით ხდება სტუდენტთა ინფორმირება დასაქმების შესაძლებლობების შესახებ (გარდა თან დართულ დოკუმენტაციაში აღწერილი შეხვედრებისა და დასაქმების ფორუმებისა). რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმი კარიერულ მხარდაჭერასთან მიმართებით.

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან არსებული გაცვლითი პროგრამების შესახებ. თან-დართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილ საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის კვლევის მიხედვით, გამოკითხული სტუდენტების უმეტესობა ფლობს ინფორმაციას არსებული საერთაშორსო მობილობის შესაძლებლობების შესახებ, სადაც, ინფორმაციის პირველად წყაროდ უნივერსიტეტის ვებ-გვერდს ასახელებენ.

აკადემიური საბჭოს 2017 წლის 9 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე, უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტუდენტების ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი, რომელიც აღწერს სტუდენტების საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული ან სპორტული თემატიკის პროექტების დაფინანსების შესახებ განაცხადის პროცედურასა და ეტაპებს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ მოიძებნება დღემდე ამ დადგენილების ფარგლებში დაფინანსებული პროექტების შესახებ ინფორმაცია.

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი აქტივობები მოიცავს კურიკულუმის გარეშე დაგეგმილ და განხორციელებულ ღონისძიებებს (ბანაკი ბაკურიანში, ინტელექტუალური თამაშები, საჯარო ლექციები და ა.შ.).

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 7 ივნისის დადგენილების საძუძველზე, განისაზღვრა ფინანსურად მოწყვლადი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსების წესი, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. მოცემულ წესში გამოყოფილია რამდენიმე სამიზნე ჯგუფი: ა) სტუდენტები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან; ბ) ობოლნი; გ) დევნილები, დ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; ე) მრავალშვილიანი ოჯახის წევრი; ვ) ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირი. რაც შეეხება ხსენებული დახმარებით სარგებლობის დინამიკას, წარმოდგენილი დანართი ასახავდა 2011 წლის მონაცემებით დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობას. შესაბამისად, რთულია ამ მიმართებით შეფასდეს მხარდაჭერის ამ ფორმის ეფექტურობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://gu.edu.ge/ge;
- საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსები;
- სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურის დებულება
- სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი
- სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრის დებულება
- სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის წესი

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმი კარიერულ მხარდაჭერასთან მიმართებით;
- უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმის რეგულარული და ეფექტური განხორციელება.

რჩევები: არცერთი
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: გსსუ-ს მისიასა და სტრატეგიულ გეგმაში მკვეთრად აქვს გამოხატული სამეცნიერო კვლევებისადმი და სხვა შემოქმედებითი საქმიანობისადმი ხელშეწყობის და განვითარების ინტერესი. SWOT ანალიზიდან იკვეთება აკადემიური პერსონალის საერთაშორისო დონის პუბლიკაციების სიმწირე. გსსუ-ს არ აქვს კონტაქტები ეკონომიკურ აგენტებთან, თუმცა წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ გეგმავს ასეთი კავშირების დამყარებას. წარმოდგენილია მემორანდუმები უცხოეთის უნივერსიტეტებთან. ასევე, უნივერსიტეტს აქვს წარმოდგენილი შემოქმედებითი აქტივობების სია, საიდანაც ნათლად იკვეთება უნივერსიტეტის როლი და ჩართულობა რეგიონის განვითარების კუთხით. უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს ინფორმაცია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ, სადაც ძირითადად ჩანს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო შრომების სია (მცირე რაოდენობით), რომელთა უდიდესი ნაწილი გამოქვეყნებულია საქართველოშო, მხოლოდ 2-3% არის უცხოურ ჟურნალებში დაბეჭდილი. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი მასალები არ არის დამუშავებული და გაფანტულადაა წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების ფაილები. უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს მხოლოდ მცირე რაოდენობის აკადემიური პერსონალის სამომავლო გეგმები კვლევების განხორციელებასთან დაკავშირებით და ერთი აკადემიური პერსონალის ერთობლივი კველევითი აქტივობები საერთაშორისო პარტნიორებთან. დამატებით წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთება, რომ სამეცნიერო კვლევების შედეგები ინტეგრირებულია უნივერსიტეტის სასწავლო საქმიანობაში, კერძოდ სასწავლო კურსების სილაბუსებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

- გსსუ-ს მისია;
- გსსუ-ს სტრატეგიული გეგმა;
- ინფორმაცია უსდ-ის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ;
- მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოკლე აღწერები;
- ერთობლივი კვლევითი აქტივობები საერთაშორისო პარტნიორებთან;
- მემორანდუმები უცხოეთის უნივერსიტეტებთან;
- 2015-2018 წლების საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით ჩატარებული დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები;
- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათი.

რეკომენდაციები:

- სრულყოფილად და ორგანიზებულად იქნას წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები;
- ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო დონის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე და აქტივობებზე.

რჩევები:

- ეკონომიკურ აგენტებთან დამყარდეს თანამშრომლობის კონტაქტები

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გსსუ-ს შემუშავებული აქვს კვლევის განვითარების პოლიტიკის, კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმი, რომელიც სრულყოფილად ასახავს უნივერსიტეტის დამოკიდებულებას კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერას.

გსსუ-ს მიერ დადებული საერთაშორისო და ადგილობრივი მემორანდუმები, საიდანაც იკვეთება მათი მოტივირებულობა და მიდგომები კვლევების განხორციელებასთან დაკავშირებით, თუმცა ამ მემორანდუმების ბაზაზე განხორციელებეული კვლევების დეტალურად ამსახველი მასალები არა არის წარმოდგენილი. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც ასახავს კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდამჭერი სისტემის ეფექტურად მუშაობის შესაძლებლობებს: აკადემიური პერსონალის აფილირების წესში მკვეთრადაა ჩამოყალიბებული კვლევითი საქმიანობის შესახებ საკითხები; პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების სამეცნიერო ღონისძიებათა გატარების მიზნით 2018 წელს მიღებული აქვთ დადგენილება, სადაც ჩამოყალიბებულია მოთხოვნები, რომელთა განხორციელება 2 აკადემიური წლის ვადაში მოითხოვება, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში სამეცნიერო აქტივობებების შედეგების ამსახველი ინფორმაციის სახით ჩანს მხოლოდ კონფერენციებსა და სხვა საერთშორისო აქტივობებში პერსონალის მივლინების შესახებ ბრძანებები. აკადემიური პერსონალის და მასწავლებელთა თანამდებობის დაკავების გარეშე მოწვეულ სპეციალისტთა სამსახურში მიღების წესში შეტანილი ცვლილებები ორიენტირებულია სწორედ სამეცნიერო აქტივობებზე;

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო -კვლევითი მუშაობის შეფასების წესში ასახულია ველები, სადაც სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ასახვა მოითხოვება.

2017-2018 წლების ბიუჯეტში ნათლად ჩანს კვლევითი განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების ხარჯები, თუმც დინამიკა უცვლელია აღნიშნულ აქტივობებთან მიმართებაში. 2015-2018 წლების ღონისძიებათა სია ნათლად ასახავს იმ განხორციელებულ ღონისძიებებს, რაც ამ მიმართულებით უნივერსიტეტს აქვს ჩატარებული.

გსსუ-ს შემუშავებული აქვს პერსონალისა და სტუდენტების ინიციატივების და პროექტების წარდგების და დაფინანსების წესი, რაც ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ახალგაზრდების მოზიდვის სტრატეგიის არსებობაზე, თუმც არ არის წარმოდგენილი დოკუმენტი, საინადაც გამოჩნდება ასეთი აქტივობების არსებობა და უნივერსიტეტის მიერ რეალურად განხორციელებული ხელშემწყობი ღონისძიებები. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით აღნიშნული მხარდაჭერა იკვეთება. გაკეთებულია ასევე გამოკითხვის შედეგების ანალიზი, თუმც რა რეაგირება მოჰყვა ამ ანალიზს, არ არის დოკუმენტურად ასახული.

გსსუ აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის უნივერსიტეტებთან, წარმოდგენილი აქვს 14 მემორანდუმი, დადებული უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, მათ შორის, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება „სასტუმრო მენეჯმენტის“ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე ჟირონას უნივერსიტეტთან, ესპანეთი. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამაზე გსსუ-ს სტუდენტები არ მიუღია, შესაბამისად, ეს ერთობლივი პროგრამა ვერ ხორციელდება.

უნივერსიტეტს აქვს წარმოდგენილი უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთად განხორციელებეული 5 საგრატო პროექტის შესახებ ინფორმაცია (რიგ შემთხვევებში საგრანტო ხელშეკრულების სახით, რიგ შემთხვევაში კი დეტალური აქტივობების მითითებით).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

-2015-2018 წლებში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი ღონისძიებების სია;

- ადგილობრივი და საერთაშორისო მემორანდუმები;

- საერთაშორისო პროექტები;

- სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი;

- აკადემიური პერსონალის აფილირება;

- აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და მოწვეულ სპეციალისტთა დატვირთვის სქემა;

- კვლევის განვითარების პოლიტიკის, კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმი;

- პერსონალისა და სტუდენტების ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი.

- საერთაშორისო საგრანტო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია;

- ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება.

რეკომენდაციები:

- შემუშავდეს კვლევითი განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების ხარჯების ბოლო 5 წლის დინამიკა;
- შემუშავდეს დოკუმენტი, სადაც ჩანს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის შემდგომი ღონისძიებები;

რჩევები:

- წარმოდგენილ იქნას საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევების განხორციელების შედეგების ამსახველი ანგარიშები;
- მომზადდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ამსახველი სრულყოფილი დოკუმენტაცია;
- შემუშავდეს დოკუმენტი, სადაც ჩანს უნივერსიტეტის მიერ კვლევების წახალისების ამსახველი ღონისძიებები.

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გსსუ-ს აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების და პროდუქტიულობის მექანიზმები, თუმც მათი შეფასების ანალიზის დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი. სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათიდან იკვეთება კვლევის შედეგების გამოყენება სასწავლო კურსის სილაბუსებში. ასევე, წარმოდგენილია პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმები, თუმცა კონკრეტულად რა საშუალებები გამოიყენება პლაგიატის აღმოჩენისათვის, არ არის აღნიშნული. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული ზოგიერთი სამეცნიერო აქტივობის შესახებ აქვს წარმოდგენილი ინფორმაცია, ასევე გსსუ-ს აქვს პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების სამეცნიერო აქტივობების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ აკადემიური საბჭოს დადგებილება, თუმცა კვლევების შეფასების შედეგების გამოყენების ამსახველი მასალა, სადაც ნათლად გამოჩნდება თუ როგორ არის ის გამოყენებული უნივერსიტეტის მიერ კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის არ არის წარმოდგენილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კვლევის განვითარების პოლიტიკის, კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმი;
- ანგარიშები აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევების შესახებ;
- პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების მექანიზმები;
- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათი.

რეკომენდაციები:

არცერთი

რჩევები:

- განხორციელდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ანალიზი და წარმოდგენილ იქნას შედეგების ამსახველი დოკუმენტი;
- მომზადდეს აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო კვლევების სრულყოფილი ანგარიში;
- შემუშავდეს განხორციელებული სამეცნიერო კვლევების შედეგების გამოყენების ამსახველი სხვა დოკუმენტები;

შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის სფერო და მიზნები დაკავშირებულია უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებასთან. შესაბამისად, დაწესებულება ახორციელებს აქტივობებს იმისათვის, რომ მისი მატერიალური რესურსი - დაწესებულების საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება) მუდმივად ვითარდებოდეს და აკმაყოფილებდეს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისმოთხოვნებს, აგრეთვე სტუდენტთა იმ რაოდენობას, რომელიც ამა თუ იმ მიმართულებაზე სწავლობს. დაწესებულებას საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება მისიის მისაღწევად და შეესაბამება დაწესებულების საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს. დაწესებულება მდებარეობს ქალაქ გორში რამდენიმე მისამართზე. დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები, კულტივირებული აქტივები (მრავალწლიანი ნარგავები), ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რძის საწარმო, ბიბლიოთეკის დარბაზი, საჭიდაო დარბაზი, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინვენტარიზაციის მასალები, ასევე ბარათები პერსონალის მიხედვით ადასტურებს, რომ შენობა-ნაგებობები აღჭურვილია შესაბამისი ავეჯითა და ტექნიკით, ცენტრალური გათბობის სისტემით, კონდიციონერებით, სანიტარული კვანძებით, სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებები. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან და პარტნიორ უნივერსიტეტებთან. დაწესებულების მიერ მოცემულ მომენტში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერებიდან ირკვევა, რომ დაწესებულება არის მოსარგებლე შემდეგ მისამართზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: 1. ქ. გორი. ჭავჭავაძის ქუჩა N53 2. ქ. გორი. ჭავჭავაძის ქუჩა N69 3. გორის რაიონი, სოფელი ატენი 4. გორის რაიონი, სოფელი ატენი 5. ქ. გორი, შაფთოშვილის ქუჩა 34 6. ქ. გორი, ჭონქაძის ქუჩა #3 7. ქ. გორი, ბესიკის ქუჩა #2 8. ქ. გორი, აღმაშენებლის ქუჩა #124

როგორც მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის, ბატონ ბეჟან რომელაშვილის სამსახურეობრივი ბარათიდან ირკვევა, დაწესებულების საერთო ფართი შეადგენს 13490.8 კვ.მ. სასწავლო ფართია 9375.8 კვ.მ, ხოლო დამხმარე ფართია 3075 კვ.მ. აღსანიშნავია, რომ დამხმარე და სასწავლო ფართის ჯამი (12450.8) არ იძლევა საერთო ფართს, რომელიც მითითებულია აღნიშნულ სამსახურეობრივ ბარათში.

სასწავლო უნივერსიტეტის საერთო ფართი ძისამართების ძიხედვით

№	მისამართი	კვ.მ
1	ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №53 (სასწავლო კორპუსი №1)	4633.0
2	ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №69 (სასწავლო კორპუსი №2 და №3)	3723
3	ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. №124 (სასწავლო კორპუსი №4)	860
4	ქ. გორი, შაფთოშვილის ქ. №34 (ბიბლიოთეკა, საჭიდაო დარბაზი)	1032.8
5	ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 (სასწავლო კორპუსი №5)	2596.0
6	ქ. გორი, ჭონქაძის ქ. №3 (რძის გადამამუშავებელი ქარხანა, სასწავლო პრაქტიკის ობიექტი)	646.0
	სულ	13490.8

დაწესებულებას ხუთივე სასწავლო კორპუსში აქვს უწყვეტი ელექტრომომარაგება, გამიჯნული სანიტარული კვანძები უწყვეტი წყლის მომარაგებით, სადაც სისუფთავე დაცულია შესაბამისად, სანიტარულ კვანძებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, აქვს უწყვეტი ხელოვნური განათება და ვენტილაცია. ხუთივე სასწასვლო კორპუსს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის. სპეციალური საჭიროების მქონე თითოეულ პირს შეუძლია თითოეული სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე, სადაც განთავსებულია ძირითადი საგანმანათლებლო და ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულები, თავისუფლად გადაადგილება პანდუსის საშუალებით და თავისუფლად ორიენტაცია. სასწავლო ოთახებს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება, შენობებს აქვს ცენტრალური გათბობა.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, ქართული ენისა და ლიტერატურის ცენტრი, სამართლის კლინიკა, იმიტირებული სასამართლო დარბაზი და იმიტირებული ბანკი.

დაწესებულებაში პერსონალისა და სტუდენტების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს ადმინისტარციის ზრუნვის საგანს. ამ მიზანს ემსახურება ემსახურება სამეურნეო სამსახური და დაცვის სამსახური. თითოეული სამსახური მოქმედებს სამსახურის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

დაწესებულებას შემუშავებულია ქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები. ამასთან, არსებობს შესაბამისი ინვენტარი. პირველადი სამედიცინი დახმარების აღმოჩენის მიზნით უნივერსიტეტს ჰყავს სამედიცინო პერსონალი (2 ექთანი) და სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. წესრიგის დაცვის მიზნით უნივერსიტეტს ჰყავს დაცვის თანამშრომლები, რომლებსაც ევალებათ წესრიგისა და დაწესებულების მატერიალური ფასეულობების დაცვა. დაწესებულებას შენობა-ნაგებობების შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული აქვს ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების 45 კამერა. დაწესებულება მიმდიანრე ეტაპზეც ახორციელებს უსაფრთხოების კამერების დამატებას შენობა-ნაგებობების შიდა და გარე პერიმეტრზე.

დაწესებულებას ჩატარებული აქვს სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვები, საიდანაც შესაძლებელია ვიმსჯელოთ დაწესებულების მატერიალური რესურსებით კმაყოფილების დონის შესახებ. 2018 წლის აპრილში დაწესებულების მიერ სტუდენტთა გამოკითხვის წარმოდგენილი ანალიზიდან აშკარაა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა კმაყოფილია უნივერსიტეტში შექმნილი პირობებით, მაგრამ ასევე გამოითქვა მოსაზრებები გაუმჯობესების თვალსაზრისით. მაგალითად, კითხვაზე - რამდენად შესაძლებელია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გაცემული პასუხების შედეგად ირკვევა, რომ სასურველი იქნება უკეთესი პირობების შეთავაზება. ამასთან ერთად გამოითქვა მოსაზრება, რომ სასურველია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს შემდეგ საკითხებს:

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
- სასურველია სანიტარული მდგომარეობა იყოს უფრო უკეთესი

აღნიშნული საკითხების გაუმჯობესებას არსებითი მნიშვნელობა აქვს როგრც საგანმანათლებლო საქმ
განხორციელებისთვის, ასევე, პერონალისა და სტუდენტების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვისთვ

აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების წარმოდგენილი ანალიზის მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობა კმაყოფილია უნივერსიტეტში შექმნილი სამუშაო პირობებით, მაგრამ ასევე გამოითქვა მოსაზრებები გაუმჯობესდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არსებული ინფრასტრუქტურა მისაღები და დამაკმაყოფილებელია გამოკითხულთა უმრავლესობისათვის, უნივერსიტეტის კორპუსებში სანიტარული მდგომარეობა მოწესრიგებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უძრავი ქონების ფლობის/სარგებლობის დოკუმენტაცია (ამონაწერები საჯარო რეესტრიდან)
- აუდიტორულ მომსახურების შესყიდვების ხელშეკრულებები
- ინვენტარიზაციის მასალები
- ბრძანებები საინვენტარიზაციო კომისიების შექმნის შესახებ
- მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის ანგარიში
- მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათი
- დაცვის სამსახურის უფროსის სამსახურეობრივი ბარათი
- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათი
- დერატიზაციის ხელშეკრულებები
- აკადემიური საბჭოს დადგენილება ბიზნეს პროცესების უწყვეტობის წესის დამტკიცების შესახებ
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება დაწესებულებაში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ყოველწლიური ანგარიშები
- სამოქმედო (სამწლიანი 2018-2021 წწ.) გეგმა
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები
- სტუდენტთა შეფასების კითხვარი პროგრამისგან დამოუკიდებელ საქმიანობაში - კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში ჩართვისა და შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერის შესახებ
- ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

- აუდიტორიების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება ინკლუზიური მიდგომების, თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების სტანდარტების და ტექნიკური რეგლამენტის გათვალისწინებით;
- დაზუსტდეს სასწავლო და დამხმარე ფართის საერთო ოდენობა

რჩევები:

არცერთი

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისთვის შექმნილია და ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგი, მონაცემთა ბაზა, ელექტრონული სახელმძღვანელოები, ინფორმაცია ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და წიგნადი ფონდის შესახებ, ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში მოიპოვება 420456 ცალი საბიბლიოთეკო ერთეული, მათ შორისაა 67475 დასახელების 290437 ეგზემპლარი წიგნი და ჟურნალები-131432 ნომერი.

მომსახურების ფორმები: ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ორი სახის აბონიმენტი: პროფესორ-მასწავლებლებისათვის და სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკა განლაგებულია სხვადასხვა კორპუსში. ბიბლიოთეკის შენობა ორსართულიანია და მოიცავს როგორც წიგნთსაცავს, ისე სააბონენტო განყოფილებას, მეორე კორპუსში ის პირველ სართულზეა, ხოლო მესამე კორპუსში-მეორე სართულზე. ამათგან ორი კორპუსის ბიბლიოთეკას აქვს წიგნთსაცავისაგან გამიჯნული სამკითხველო დარბაზები. პირველი სასწავლო კორპუსის სამკითხველო დარბაზის წიგნადი ფონდის რაოდენობა შეადგენს 3.432 ეგზემპლარ წიგნს.

ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები:

Cambridge University Press- https://www.cambridge.org/core
Royal Society Journals Collection - https://royalsociety.org/journals/
BioOne- http://www.bioone.org/
SAGE Premier -https://us.sagepub.com/en-us/nam/sage-premier
e-Duke Journals Scholarly Collection -(https://www.dukeupress.edu/)
Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books- (https://www.elgaronline.com/page/70/journals)
IMechE Journals -(https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche)
New England Journal of Medicine- (http://www.nejm.org/)
Openedition Journals- (http://www.openedition.org/)

დაწესებულების ელექტრონული ბიბლიოთეკები:

www.search.epnet.com
www.oxsfordjournals.org
www.journals.cambridge.org
ინტერნეტ ბიბლიოთეკა
მენეჯმენტის ინტერნეტ ბიბლიოთეკა
მარკეტინგის ინტერნეტ ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-რესურსები
ქართული ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალები

უნივერსიტეტი პერმანენტულად ახორციელებს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის (როგორც ბეჭდური, ასევე ციფრული) რესურსების განახლებასა და გამდიდრებას. უნივერსიტეტი ზრუნავს საბიბლიოთეკო სერვისების განახლებასა და განვითარებაზე. 2018 წლის 20 დეკემბერს სასწავლებლის აკადემიურ საბჭოს დამტკიცებული აქვს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტიტ განსაზრვრულია (1) საბიბლიოთეკო რესურსების განახლებისა და გამდიდრების მიზნით გათვალისწინებული პროცედურები/რეგულაციები, (2) საუნივერსიტეტო სივრციდან ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებზე (მათ შორის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებთან) დაუბრკოლებლად წვდომის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული პროცედურები/რეგულაციები, (3) საბიბლიოთეკო სერვისების განვითარების მიზნით გათვალისწინებულ რეგულაციებს, რომელიც გულისხმობს როგორც საბიბლიოთეკო მომსახურებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების, ასევე ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას 2018 წლის აპრილის თვეში ჩატარებული აქვს სტუდენტთა გამოკითხვა ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსებისა და მომსახურების შესახებ. კვლევის მიზანი იყო, დაედგინა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული რესურსებისა და მომსახურების შესაბამისობა მოთხოვნილ სტანდარტებთან, რომელთა გათვალისწინებაც უნდა მოხდეს შემდგომი მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით.

შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა კმაყოფილია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შექმნილი სამუშაო პირობებით, მაგრამ ასევე გამოითქვა მოსაზრებები გაუმჯობესდეს მატერიალურ-ტექნიკური და საბიბლიოთეკო ბაზა.

კითხვაზე - რამდენად საკმარისია ბიბლიოთეკაში წიგნების რაოდენობა გამოკითხულთა 16 % თვლის, რომ მათი რაოდენობა არაა შესაბამისი. რაც შეეხება მომსახურე პერსონალის კვალიფიციურ მომსახურებას, რესპოდენტთა მოსაზღების მიხედვით, მათი კვალიფიკაცია დამაკმაყოფილებელია.

გამოითქვა მოსაზრება, რომ სასურველია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს შემდეგ საკითხებს:

- გაიზარდოს საბიბლიოთეკო ფონდი, კერძოდ დასახელებათა მიხედვით წიგნების რაოდენობები;

- სტუდენტებს მიეწოდოთ დამატებითი ინფორმაცია ელ. რესურსებზე წვდომასთან დაკავშირებით;
- გაიზარდოს ადგილების რაოდენობა სამკითხველო დარბაზში.

წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა. რომ , რომ არ ინფრასტრუქტურა მისაღები და დამაკმაყოფილებელია გამოკითხულთა უმრავლესობისთ ვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლებლის აკადემიური საბჭოს დადგენილება #09-65 , 20.12.2018 სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმის დამტკიცების შესახებ.
- ბიბლიოთეკის დებულება
- ბიუჯეტირებისა და შესყიდვების სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათი
- სასწავლებლის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი
- სამოქმედო (სამწლიანი 2018-2021 წწ.) გეგმა
- სტუდენტთა შეფასების კითხვარი ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსებისა და მომსახურების შესახებ

რეკომენდაციები:

- საკმარისი რაოდენობის საბიბლიოთეკო რესურსებით და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა
- საბიბლიოთეკო გარემოს გაუმჯობესება და სამკითხველო დარბაზებში მკითხველთათვის ადგილების რაოდენობის გაზრდა
- საბიბლიოთეკო ელექტრონულ რესურსებზე წვდომასთან დაკავშირებით ინფორამციის გავრცელება

რჩევები:

- არამხოლოდ საუნივერსიტეტო სივრციდან ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებზე (მათ შორის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებთან) დაუბრკოლებლად წვდომის უზრუნველყოფა, არამედ უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის აღნიშნულ რესურსებთან წვდომის უზრუნველყოფა არასაუნივერსიტეტო სივრციდან სათანადო რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის გავლის შემდეგ.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მფლობელობაშია სათანადო საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო დარბაზი, კაბინეტ-ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით 2018 წლის პირველი იანვრის მონაცემებით დაწესებულებას აქვს კომპიუტერი-425 ცალი, პლამშეტი-3 ცალი, ნოუთბუქი-57, კომპ5-49, კომპ4-319, კომპ3-0 (მათ შორის ჩამოსაწერია-3), პრინტერი- 116 ცალი, პროექტორი -43 ცალი, მობილური 11 ცალი.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 13 კომპიუტერული ლაბორატორია სასწავლო/სამეცნიერო ლაბორატორიების სახით. ერთ-ერთი ლაბორატორიის ბაზაზე ფუნქციონირებს უნივერსიტეტის ინოვაციების ცენტრი.

სასწავლებელში შემუშავებულია საინფორმაციო რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია უნივერსიტეტის საინფორამციო ტექნოლოგიების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა. ძირითადი მიმართულებებია: (1) კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ადმინისტრირება, (2) ინფორმაციული უზრუნველყოფა, (3) ბაზების ადმინისტრირება, (4) ინფორმაციის უსაფრთხოება. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პროცედურები, ასევე ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. დაწესებულებას დანერგილი აქვს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.

სასწავლებელს აქვს ვებ-გვერდი, რომელზედაც განთავსებულია ინფორმაცია უნივერსიტეტის, ცალკეული ფაკულტეტის, საგანმანათლებლო პროგრამების და ა.შ. შესახებ როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ადმინისტრირების წესი, რომელიც განსაზღვრავს ვებ-გვერდის მართვის პრინციპებს, ვებ-გვერდის მართვის პროცედურებს და შესაბამის პასუხისმგებლობებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ინგლისურ ენაზე ქართულთან შედარებით ნაკლებია. ინგლისურ ენაზე სიახლეების და ინფორმაციის განთავსება მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ინტერნაციონალიზაციის პროცესის შემდგომ გაღრმავებაში.

დაწესებულების ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები მოიცავს:

1. სასწავლო პროცესის მართვის სისტემას
2. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას (eFlow)
3. ბიბლიოთეკის ელექტრონულ სისტემას/კატალოგს (OPAC)
4. ელექტრონულ სერვისს, რომელიც უზრუნველყოფს ქართულ ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალებზე, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-რესურსებზე და ზოგიერთი საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელის რესურსებზე წვდომას
5. ელექტრონულ სერვისს, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მომხმარებლთან უკუკავშირს.

დაწესებულებას ჩატარებული აქვს სხვადასხვა კვლევები, მათ შორის სტუდენტთა გამოკითხვები, საიდანაც ირკვევა რომ, მათ სურთ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ადმინისტრაციასა და სტუდენტთა შორის ურთიერთობის ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიმართულებით საინფორმაციო ტექნოლოგიების და შესაბამისი სერვისების უფრო მეტად აქტიურად გამოყენება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილების დებულება
- საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის სამსახურებრივი ბარათი
- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ადმინისტრირების წესი
- ინვენტარიზაციის მასალები
- საინფორმაციო რესურსების მართვის პოლიტიკა
- ხელშეკრულებები დომეინის, ჰოსტინგის და ინტერნეტ-პროვაიდერებთან
- შესყიდვების დოკუმენტაცია
- საბალანსო მონაცემები
- სამოქმედო (სამწლიანი 2018-2021 წწ.) გეგმა
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები
- სტუდენტთა შეფასების კითხვარი პროგრამისგან დამოუკიდებელ საქმიანობაში - კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში ჩართვისა და შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერის შესახებ
- ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

- ელექტრონული სერვისებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების გაძლიერება სტუდენტებისა და პერსონალისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით;
- ვებ-გვერდის ფუნქციონირების გაუმჯობესება

რჩევები:

- გამრავალფეროვნდეს ვებგვერდზე ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი ინფორმაცია

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაწესებულების შემოსავლები (იხ. ცხრილი ქვემოთ) მოწმობს, რომ უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. აღსანიშნავია, რომ შემოსავლები იზრდებოდა 2013-2015 წლებში, შემდგომში ადგილი აქვს შემოსავლების შემცირებას და 2017 წელს შემოსავლები თითქმის დაუბრუნდა 2013 წლის დონეს. უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით დინამიკა მზარდი არ არის.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შემოსავლები 2013-2017 წლებში

წლები	**ეკონომიკური შემოსავლებიდან**	**დაფინანსება ბიუჯეტიდან**	**სულ**
2013	3674382	126533	3800915
2014	4125845	273143	4398988
2015	4431440	161271	4592711
2016	3530264	102740	3633004
2017	3543422	162568	3705990

როგორც დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის ანგარიშიდან ირკვევა, 2017 წელს საერთო შემოსავალმა შეადგინა 3 732 133 ლარი, ამასთან წლის დასაწყისში ნაშთის სახით საბანკო ანგარიშზე ჰქონდათ 463 711 ლარი. შემოსავლებს იღებდნენ სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის: ბიუჯეტიდან ჩარიცხული სახელმწიფო სტიპენდია -91 650 ლარი, თანხები ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის-39 901 ლარი, მიმდინარე დანიშნულების გრანტები- 57 159 ლარი, თანხები მოდულური პროგრამების განხორციელებისთვის-214 496 ლარი , იჯარიდან მიღებული თანხები-35 655 ლარი, საპროცენტო შემოსავალი- 48 847 ლარი, ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდია- 2 400 ლარი (სულ 490,108).

ზემოთ აღნიშნული ანგარიშიდან ირკვევა, რომ 2017 წელს დაწესებულების გასავლების საერთო რაოდენობამ შეადგინა 3 733 930 ლარი, მათ შორის ყველაზე დიდ ნაწილი- 2 305 260 ლარი არის შრომის ანაზღაურება შტატიან თანამშრომლებზე, საქონელი და მომსახურება 1 124 935 ლარი.

როგორც ადმინისტარციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშებიდან, წლიური ბიუჯეტებიდან, საბალანსო უწყისების მონაცემებიდან, ასევე, 2015-2018 წლებში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი ღონისძიებების სიიდან ირკვევა, უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე, ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება. ამასთან დაწესებულებაში ფუნქციონირებს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, 2018 წელს საერთო შემოსავალმა შეადგინა 3 673 094 ლარი, ამასთან წლის დასაწყისში ნაშთის სახით საბანკო ანგარიშზე ჰქონდათ 404 754 ლარი. შემოსავლებს იღებდნენ სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის: ბიუჯეტიდან ჩარიცხული სახელმწიფო სტიპენდია -76 350 ლარი, მიმდინარე დანიშნულების გრანტები- 589,41 ლარი, თანხები საგნობრივი მოდულური პროგრამების განხორციელებისთვის-251 425 ლარი, იჯარიდან მიღებული თანხები-48 455 ლარი, საპროცენტო შემოსავალი- 42 056 ლარი, ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდია- 2 400, შემოსავლები საკუთრებით(სტუდენტთა სწავლის ქირა) - 3 254 219 ლარი (სულ3 673 094 ლარი).

2018 წელს დაწესებულების გასავლების საერთო რაოდენობამ შეადგინა 3 761 166 ლარი, მათ შორის ყველაზე დიდ ნაწილი- 2 351 055 ლარი ლარი არის შრომის ანაზღაურება შტატიან თანამშრომლებზე, საქონელი და მომსახურება 993 049 ლარი.

როგორც ბოლო ორი წლის (2017 და 2018 წწ.) შემოსავლებისა და გასავლების შედარება და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, საერთო შემოსავლებში ყველაზე დიდი წილი უჭირავს სტუდენტთა სწავლის ქირას, ხოლო საერთო გასავლებში ყველაზე დიდი წილი უჭირავს შრომის ანაზღაურებას სტატიან თანამშრომლებზე. ამის გარდა, გამოიკვეთა შემოსავლების საერთო რაოდენობის კლებისა და გასავლების საერთო რაოდენობის უმნიშვნელო ზრდის ტენდენცია იხ. ცხრილი ქვემოთ)

	შემოსავლების საერთო რაოდენობა	გასავლების საერთო რაოდენობა	ნაშთი საბანკო ანგარიშზე
2017	3 732 133 ლარი	3 733 930 ლარი,	463 711 ლარი
2018	3 673 094 ლარი	3 761 166 ლარი	404 754 ლარი

აღნიშნული ტენდენციიების გათვალისწინებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია, დაწესებულების ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას, უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.

ადმინისტარციის ხელმძღვანელის ანგარიშებიდან და უსდ-ს წლიური ბიუჯეტებიდან დგინდება, რომ უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება, თუმცა ამ მიმართულებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამატებით ფინანსური რესურსები გამოყოფა.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მექანიზმი. დაწესებულების სამოქმედო (სამწლიანი, 2018-2021 წწ.) გეგმის მიხედვით ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით განხორციელდება ღონისძიებები 2019 წლის აგვისტოდან.

საფინანსი-ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის შეფასების მიზნით უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს დაწესებულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტს გარე აუდიტურული კომპანიების საშუალებით. წარმოდგენილია აუდიტორული დასკვნები უნივერსიტეტში ჩატარებულ აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი დასკვნები ადასტურებენ, რომ უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა წარიმართება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, საფინანსო სამსახურების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგებები არ შეიცავს არსებით უზუსტობებს, სამართლიანად ასახავს უნივერსიტეტის საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას შესაბამის საანგარიშო პეროდებში,

სამართლიანად და უტყუარად ასახავს უნივერსიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ხარჯების ნამდვილობას მითითებული პეროდისთვის. მიმართებაში. ზემოთ აღნიშნული ანალიზითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). • დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშები • დაწესებულების წლიური ბიუჯეტები • საბალანსო მონაცემები • აუდიტორული დასკვნები უნივერსიტეტში ჩატარებულ აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებით • სამოქმედო (სამწლიანი 2018-2021 წწ.) გეგმა • აუდიტორული მომსახურების შესყიდვის დოკუმენტაცია • ინვენტარიზაციის მასალები • 2015-2018 წლებში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი ღონისძიებების სია • პერსონალისა და სტუდენტების ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი • სტუდენტთა შეფასების კითხვარი პროგრამისგან დამოუკიდებელ საქმიანობაში - კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში ჩართვისა და შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერის შესახებ
რეკომენდაციები: • სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირების გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით დაფინანსების გაზრდა; • აუდიტორიების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების მიზნით გამოყოფილი ფინანსური რესურსების გაზრდა; • ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება
რჩევები: არცერთი
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ეკონომიკა	-	-	240	აკრედიტებული	-
2	სასტუმრო მენეჯმენტი	-	-	240	აკრედიტებული	-

3	ინფორმაციული ტექნოლოგიები (ინგლისურენოვანი)	-	-	240	არააკრედიტებული	-
4	ინფორმაციული ტექნოლოგიები	-	-	240	აკრედიტებული	-
5	დაწყებითი განათლება	-	-	240	აკრედიტებული	-
6	ბიოლოგია	-	-	240	აკრედიტებული	-
7	მათემატიკა	-	-	240	აკრედიტებული	-
8	სპორტი	-	-	240	აკრედიტებული	-
9	გეოგრაფია	-	-	240	აკრედიტებული	-
10	ისტორია	-	-	240	აკრედიტებული	-
11	ქართული ფილოლოგია	-	-	240	აკრედიტებული	-
12	ინგლისური ფილოლოგია	-	-	240	აკრედიტებული	-
13	გერმანული ფილოლოგია	-	-	240	აკრედიტებული	-
14	რუსული ფილოლოგია	-	-	240	აკრედიტებული	-
15	ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა	-	-	240	აკრედიტებული	-
16	საბუღალტრო და საგადასახადო საქმე	-	-	240	აკრედიტებული	-
17	ფინანსები	-	-	240	აკრედიტებული	-
18	ტურიზმი	-	-	240	აკრედიტებული	-
19	საჯარო მმართველობა	-	-	240	აკრედიტებული	-
20	ჟურნალისტიკა	-	-	240	აკრედიტებული	-
21	ფსიქოლოგია	-	-	240	აკრედიტებული	-
22	სამართალმცოდნეობა	-	-	240	აკრედიტებული	-
23	სამართალი	-	-	120	აკრედიტებული	-
24	სასტუმრო მენეჯმენტი	-	-	120	აკრედიტებული	-
25	საჯარო მმართველობა	-	-	120	აკრედიტებული	-
26	მასწავლებლის განათლება	-	-	120	აკრედიტებული	-
27	ქართული ლიტერატურა	-	-	120	აკრედიტებული	-
28	ქართული სალიტერატურო ენა	-	-	120	აკრედიტებული	-
29	საქართველოს ისტორია	-	-	120	აკრედიტებული	-
30	ანგლისტიკა	-	-	120	აკრედიტებული	-
31	ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა	-	-	120	აკრედიტებული	-
32	საბუღალტრო და საგადასახადო საქმე	-	-	120	აკრედიტებული	-
33	ფინანსები	-	-	120	აკრედიტებული	-
34	ტურიზმის მენეჯმენტი	-	-	120	აკრედიტებული	-
35	განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა	-	-	120	აკრედიტებული	-
36	ჟურნალისტიკა	-	-	120	აკრედიტებული	-
37	სამოქალაქო სამართალი	-	-	120	აკრედიტებული	-
38	სისხლის სამართალი	-	-	120	აკრედიტებული	-
39	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	-	-	60	აკრედიტებული	-
40	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ისტორია, ბიოლოგია, გეოგრაფია)	-	-	60	აკრედიტებული	-
41	მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-	-	-	60	აკრედიტებული	-

	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა					